საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

16 09 2021 წ. № 147 ქ. თბილისი

პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის (კონკურსი #2/2) პროექტთა დაფინანსების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2021 წლის 13 სექტემბრის #1 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1.დაფინანსდეს პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/2) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა),,რძე და თაფლი'' – (პროდიუსერი - შპს "ნუში ფილმი" , რეჟისორი – თორნიკე გოგრიჭიანი)-500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

ბ)„ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ – (პროდიუსერი - შპს "სტუდია კედარი", რეჟისორი – ირინე ჟორდანია) – 161 674,42 (ას სამოცდაერთი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდაორი თეთრი) ლარი;

გ) „აკვარიუმი“ – (პროდიუსერი შპს "ს.ს.ს.", რეჟისორი – თორნიკე ბზიავა) -520 169.9 (ხუთას ოცი ათას ას სამოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი);

დ) „ქალაქის ხმაური“ – (პროდიუსერი - შპს "თეიქს ფილმ", რეჟისორი – პაპუნა მოსიძე)-545 710 (ხუთას ორმოცდახუთი ათას შვიდას ათი) ლარი;

ე) ,,რაც ღმერთს სწამდა'' – (პროდიუსერი - შპს ,,მიდი ფილმი", რეჟისორი – მარინე გულბიანი) – 560 000 (ხუთას სამოცი ათასი) ლარი;

ვ)„აფრიკა“ – (პროდიუსერი - შპს "კინო არქიტექტურის ოფისი", რეჟისორი – რატი ჯეგბაშვილი) – 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ზ) „პანოპტიკონი“ – (პროდიუსერი - შპს "Steps Productions", რეჟისორი – გიორგი სიხარულიძე) – 753 700 (შვიდას ორმოცდაცამეტი ათას შვიდასი) ლარი;

2. ბრძანების პირველ პუქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ

,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი

გაგა ჩხეიძე